

უცნაური თავის გამართლება

(გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“ 1985წ., NN140,141) „ნაცნობის“ ფსევდონიმით)

არ გათეთრდება ყორღანი,

რა გინდ რო ხეხო ქვიშითა.

ხალხური

სამიოდე თვე იქნება, რაც „ივერიაში“ დაბეჭდა ბ-ნმა როსტომაშვილმა საოცარი გამართლება თავისი საოცარის პროექტისა შესახებ სახალხო სკოლების მოწყობისა საქართველოში. ჩვენ გარემოება ნებას არ გვაძლევდა აქამდის გამოგვეშვარავებინა უსაფუძლობა და სიყალბე ამ გამართლებისა. იმედი გვქონდა, რომ რომელიმე ხალხის განათლების მოყვარე გაარჩევდა, დაანიავებდა ამ უკუღმართს პროექტსა. მაგრამ მოვტყუვდით: ჩვენნი განათლებულნი გართულნი არიან წვრილმანს არა საარსო საგნების აღებ-დაღებაში, კვებნა-ტრაბახში, მესამე დასის ქება-დიდებაში ან მასთან პოლემიკაში და ფანტასტიურის პროექტების თხზვაში. ხალხის განათლება კი მათ შესაწყენ საქმედ მიაჩნიათ. ამის გამო იძულებული ვართ ერთხელ კიდევ გამოვეპასუხოთ ბ-ნს როსტომაშვილსა. საგანს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და იმედია მკითხველი ყურადღებით მოისმენს ჩვენს მეჯვლობასა.

დიაღ, უცნაურს პროექტს ბ-ნის ივანე როსტომაშვილისას უფრო კიდე უცნაური გამართლება მოჰყვა. მაგრამ აქაც ცხადად გამართლდა ქართული ანდაზა: „ არ გათეთრდება ყორღანი, რა გინდ რომ ხეხო ქვიშითა“. ჩვენი პედაგოგი თავისს პასუხში, ჩვენდამი მომართულში, გამამტყუნებელს მუხლებს უმეტეს ნაწილად ხელუხლებლად სტოვებს, რადგანაც იმათი შერყევა ყოვლად შეუძლებელი იყო, და ახალს საგანს წამოგვიყენებს წინა. ეს ახალი საგანი გახლავთ - რაოდენობა ქართულის ენის გაკვეთილებისა, აღნიშნული მის პროექტში და ოფიციალურს გეგმაში. მაგრამ ვიდრე ამ საგანს განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს მოვავონით ერთი პედაგოგიური დედა-აზრი, რომელსაც ბ-ნი როსტომაშვილი არღვევს თავისის პროექტით.

ეს აზრი იმაში მოდგომარეობს, რომ რომელსამე უცხო ენაზედ საგნების სწავლება მხოლოდ მაშინ არის შესაძლო და შემრგო, როდესაც ეს ენა მოსწავლეებს შეთვისებული აქვთ მეტნაკლებობით. ამ ჭეშმარიტების, ამ მოთხოვნის სიმართლე ესმის ყველა უბირი ჭკუის პატრონსაც კი და პედაგოგის ცოდნა აქ სრულიად საჭირო არ გახლავთ. შეარყიეთ, დაარღვიეთ ეს დედა-აზრი და ქართულს ენას სახალხო სკოლებში ანდეძი აეგება. ამ დედა-აზრს არ დალატობს ოფიციალური გეგმა, რომელიც ამწესებს სწავლას პირველის ორის წლის განმავლობაში დედა-ენაზედ. ბ-ნს როსტომაშვილს კი საგნების სწავლება პირველივე წლიდან რუსულს ენაზედ მიყავს პარალელურად. ამით იგი აუქმებს პედაგოგიურს გზას რუსულის ენის სწავლებაში, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ქართველმა ბავშვმა ჯერ უნდა შეისწავლოს რუსული ენა იმ მხრივ, რომლითაც იგი ემსგავსება ქართულს ენასა და მერმე გადავიდეს სხვა, განსაკუთრებულსა და რთულს მხარეებზედ. ამითი იგი, როგორც უკვე მოვიხსენეთ წინა წერილში, აუცილებლად ჰხდის

უწყალო კვილაობის (зубрение) გამეფებას სახალხო სკოლაში და ამასტან ძირს უთხრის საგნების სწავლებას დედა-ენაზედ იმავე თავით. როგორ?

იმათ, ვისაც „დედა-ენის“ ხმარება სახალხო სკოლაში ეკლად მიაჩნიათ, სრული საფუძველი მიეცემათ სთქვან: იმის მაგივრად, რომ მეორე დღეს გადათარგმნოთ რუსულად, რასაც დღეს ქართულად ასწავლით, ის არა სჯობიან, რომ ყოველი აზრი, ქართულად გამოთქმული დღესვე, ახლავე სთარგმნოთ რუსულად და ამ სახით აწარმოვოთ მთელი სწავლა რუსულს ენაზედ ქართულის ენის შემწეობით. რას ეტყვის მათ ჩვენი პედაგოგი? ვერაფერსა და იძულებული იქნება დასთანხმდეს, რადგანაც ეს იქმნება პირდაპირი, ყოვლად საფუძვლიანი შედეგი იმის ლოდიკისა. აი რა მავნებელი ნაყოფი მოსდევს იმ პრინციპის დარღვევას, რომ ვიდრე მეორე ენა ბავშვს არ შეუსწავლია პედაგოგიურის თანდათანობით, ყველა საგნები უნდა ისწავლებოდნენ მხოლოდ დედა-ენაზედ. ამ პრინციპს მეტნაკლებობით იწყნარებს ოფიციალური გეგმა, როგორც უკვე ვსთქვით. ჩვენი მოკამათე კი ამას არყევს, არღვევს, ძლიერ აადვილებს ქართული ენის გაუქმებას სახალხო სკოლაში და უნაყოფობა უკურნებელ ჭირად უნდა შეჰყაროს ჩვენს სკოლას. აი „სადა სცემს“ ბ-ნი როსტომაშვილი და სადა სუფევს გაუგებრობა, თუ მარტო გაუგებრობაა აქ დამნაშავე.

შევადართ ახლა ბ-ნის როსტომაშვილის პროექტი და ოფიციალური გეგმა გაკვეთილების განაწილებით ქართულისა და რუსულის ენის შორის. მთავრობის გეგმა ამწესებს კვირაში ოც-და-ათ საათიანს გაკვეთილს და არა ოცსა, როგორც ბრძანებს ჩვენი პედაგოგი. მთელი ეს რიცხვი დათმობილი აქვს მთლად, უკლებლივ ქართულს ენას და მასზედ საგნების სწავლებას პირველის წლის ნახევრამდის. რუსული ენის ჭაჭანება აქ სრულიადაც არ არის. ამ წლის მეორე ნახევარში მხოლოდ სამი საათია გამწესებული რუსულის ლექსიკური გაკვეთილებისათვის, ოც-და-შვიდი საათი კი უნდა ხმარდებოდეს ჩვენს ენასა და მის შემწეობით სწავლებასა განწესებულ საგნებისა. ჩვენის პედაგოგის პროექტი კი თითქმის შუაზედ ჰყოფს გაკვეთილებს ორ ენას შორის პირველივე წლის დასაწყისიდან. განა დიდი განსხვავებაა? მეორე წლიდან რუსული წერა-კითხვისთვის მთავრობა ნიშნავს მეტს გაკვეთილებს, მაგრამ მათი რიცხვი მაინც ვერ აღემატება ათსა; ასე რომ ქართულს ენას წილად რჩება ორჯერ მეტი გაკვეთილი, როდესაც ჩვენი რეფორმატორის აზრით მხოლოდ ნახევარი გაკვეთილები მას უნდა დაეთმოს.

აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ რუსულ წერა-კითხვის სწავლებას სავალდებულოდ ჰხდის მთავრობის გეგმა მხოლოდ მეორე წლიდან, ბ-ნი როსტომაშვილი კი პირველივე წლიდან. მართალია ამ უკანასკნელმა შეცდომად აღიარა თავისი აზრის შესახებ სადმართო სჯულის რუსულს ენაზედ სწავლებისა, მაგრამ ამის მნიშვნელობას სრულიად აქარწყლებს სამი გარემოება: პირველად, იგი იძულებული გახადეს ასე მოქცეულიყო იმით, რომ მიუთითეს ოფიციალურს გეგმაზედ, რომელიც თხოულობს სადმართო სჯულის სწავლებას მხოლოდ ქართულს ენაზედ სამსავე წლის განმავლობაში; მეორედ, ბ-ნმა როსტომაშვილმა თავისი აზრი უკან წაიღო არა იმის გამო, რომ სცნა მისი უგუნურება და მავნებლობა, არამედ გარეგანი მიზეზის წყალობით - მთავრობის აზრზედ უკან დგასო; და მესამედ, სხვა საგნების სწავლება ჯერედ შეუთვისებელს ენაზედ, უარყოფილი მთავრობისაგან, მის პროექტში ისევ დარჩა და სწორედ ეს აზრი არის ძირის გამომთხრელი ჩვენის სახალხო სკოლისა.

უფრო კიდევ უარესი გამოდის ბ-ნი როსტომაშვილის პროექტი შედარებით სამრევლო სკოლების გეგმასთან, რომელიც გამოცემულია უწმინდესის სინოდისაგან. ეს გეგმა სწავლებას ყველა საგნებისას სავალდებულოს ჰხდის ქართულის ენაზედ ორი წლის განმავლობაში, ამავე ენას უწილადებს ყოველდღე ორ-ორს გაკვეთილს და სწავლის დროს ასე გაანაწილებს: „росписание недельных уроков по подлежащим предметам при ежедневных занятиях назначается следующее: первый урок Закон Божий, второй и третий уроки чтение и письмо на родном языке, четвертый урок русский язык, пятый урок арифметика и церковное пение“. („Учебный план церковно-приходских школ православного грузинского ексархата“, издание 1892 года, стр. 4). აქ იცის უნდა დაუვმატოთ, რომ ეს გეგმაც უარყოფს რუსულ წერა-კითხვის სწავლებას პირველს წელიწადსა და მხოლოდ ლექსიკურს, ზეპირს სიტყვაობითს გაკვეთილებს ამწესებს. შეადარეთ ამ გეგმასთან, რომელიც ქართულს ენას უსაკუთრებს კვირაში ოც- და-თექვსმეტს გაკვეთილს სამივე განყოფილებაში ჩვენი რეფორმატორის საცოდავი პროექტი და დაინახეთ, რამდენად დაცემულვართ გონებრივ და ზნეობრივ და რა უწყალოდ დაგვზნევია დავთრები.

უკუღმართობა ამითაც არა თავდება. ფონი ბ-ნი როსტომაშვილისა სხვა ადგილას უფრო მეტად არჩობს. მან შემცირება ქართული ენის გაკვეთილებისა როდი იკმარა. ამას იმან ზედ დაუმატა ისეთი ღონის-ძიება, რომელიც ამ მცირე გაკვეთილებსაც უნაყოფოდ ჩაატარებს, ფუჭად აქცევს. საქმე ის გახლავთ, რომ ოფიციალური გეგმით ქართული ენა არის მთავარი ორგანიული ნაწილი სახალხო სკოლისა, მას ასწავლის მასწავლებელი სპეციალისტი თავისი საქმისა, ეს ენა წინ მიუძღვის რუსულ ენას, უჭირავს პირველი ადგილი, პირველ შთაბეჭდილებებს იგი სტოვებს ბავშვის გონებაში და ღრმად იდგამს მასში ფესვებსა. ამავე დროს იგი გზას უკაფავს, ეხმარება რუსულს ენასა და ეს სამსახური, ორგანიული წინამორბედობა და კავშირი სახელმწიფო ენასთან სიმკვიდრეს უმატებს მას. ერთის რსჯულის სულიერებს, რომელნიც ნატრობენ ქართული ენის გაუქმებას სახალხო სკოლაში, სახეში აქვთ ერთი იმისთანა ხერხი, რომელიც ფაქტიურად, საქმით გააქრობს ჩვენს ენასა და მხოლოდ სახელით, ფორმალურად დასტოვებს ჯერ-ჯერობით. ეს ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ გაანთავისუფლონ სოფლის მასწავლებელი ქართული ენის სწავლებისგან და იგი ჩააბარონ საღმრთო სჯულის მოძღვარსა. სწორედ მშვენიერი, შესაბამი, უებრო ღონისძიება გახლავთ. ყველამ კარგად იცის, რომ მღვდელს თავისი პირდაპირი, სამრევლო საქმეც ბევრი აქვს, ხშირად იგი ვერ იცლის სპეციალის საგნის ორიოდე გაკვეთილისათვის, რის გამოც საღმრთო ისტორიას და კატეხიზმოს სწავლებას სახალხო სკოლა მოკლებულია მთელი თვეობით: ამაზედ საჩივრებით სავსეა კორესპოდენციები საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდგან. რა მოუვა ქართულს ენას მღვდელის ხელში? იგი ამ ენის გაკვეთილებისათვის ვერ მიცლის და იგინი ოხრად დარჩებიან. და თუ ხან-და-ხან სტუმრად ეწვევა ქართულს ენას, ისიც მხოლოდ ფორმის გულისათვის. თუნდა კიდევ მოიცალოს და გულითაც მოინდომოს რიგიანი სწავლება, ვერ მოახერხებს, რადგან აც დიდიაქტიკურს მომზადებას მოკლებულია. ამ სახით, რუსული ენი სწავლება იქმნება ნამდვილი, გაწვრთნილი ოსტატის ხელში, რომელიც განუწყვეტლივ, ყოველ დღე აძლევს სრული პედაგოგიური ოსტატობით მის გაკვეთილებსა, ქართული ენა კი ჩაბარებული ექმნება გარეშე პირს, მოუცლელსა და საჭირო ოსტატობას მოკლებულსა. რასაკვირველია, ქართული ენა გაირიყება და სული ამოუვა სწორედ ისე, როგორც კვდება თევზი, წყლიდგან ნაპირზედ გადმოგდებული. ამ

ღონისძიების უებრობა ისე აშკარაა, რომ იგი სახეში აქვთ მხოლოდ მომავლისათვის, ეხლავე კი ვერა ბედავენ, ცოტა ადრეაო. ეს კარგად იცის ყველა თბილელმა და ბევრმა არა თბილელმა მასწავლებელმა. ჩვენი რეფორმატორი სწორედ ამ გზას დასდგომია და ქადაგებს, რომ ქართულის ენის სწავლება უთუოდ მღვდელს უნდა ჩაბარდესო. და ამასთან იმასაც გვეუბნება: თქვენ ვერ გაგივიათ, სადაც „ვსცემო“. ბრმაც კი ჰხედავს სადა სცემთ და თვალ-ხილულები როგორ გნებავთ, რომ მოსტყუდნენ.

თუ საგულისხმიერო მაგალითი გნებავთ დასასურათებლად განმარტებულის ღონისძიების უებრობისა, ამ სურვილასაც დაგიკმაყოფილებთ.

ამ ექვსის-შვიდის წლის წინედ, როდესაც სამეგრელოს სკოლებში რეფორმა მოახდინეს, ქართული ენის სწავლება ჩააბარეს საღმრთო სჯულის მასწავლებელსა განსაკუთრებული ცირკულიარით, რომელიც ამ ენის სწავლებას საჭიროდ რაცხდა სარწმუნოების მხრივ. წინააღმდეგ ამ ცირკულიარისა, ქართული ენა მთლად, გაჰქრა სამეგრელოს სკოლებისგან, რადგანაც მღვდლებს მისთვის არა სცალოდათ და მისი სწავლება არც ეხერხებოდათ. ამავე მიზეზის გამო ნორმალურს სკოლებში ჭაჭანებაც არ არის ქართული ენისა. ასევე უნდა შესძღვნას ბ-ნმა როსტომაშვილმა მთელს საქართველოს? უნდა, თუ არ უნდა, მიუცილებლად შესძღვნის. თუ იმისი პროექტი განხორციელდება, სწორედ მისთანვე ღირსებისა ყველა სხვა აზრებიც ჩვენი რეფორმატორისა. რუსეთში მარტო რუსული წერა-კითხვის სწავლებისთვის საჭიროდ მიაჩნიათ პედაგოგებს მეოთხე წლის მიმატება. სამ წელიწადს წერა-კითხვას იმდენად ვერა სწავლობენ, რომ შემდეგში არ დაავიწყდეთო. ჩვენი თამამი პედაგოგი კი სამს წელიწადს დიდს ვადად თვლის და ორი წლის კურსი საკმარისად მიაჩნია შეთვისებისთვის ქართულის წერა-კითხვისა, რუსულის ენისა და რუსულის წიგნისა. სადაურია? როგორ უნდა შესძლოს ქართველმა ბავშვმა ორი წლის განმავლობაში სამჯერ მეტი შეისწავლოს იმაზე, რასაც რუსის ბავშვი ასწრებს სამის წლის განმავლობაში? რუსეთში მოსწავლეები ეუბნებიან მთავრობასა ოღონდ-კი მეოთხე წელიწადი მიუმატე სკოლის კურსს და თითოეული ჩვენგანი კარგად გაუძღვება ოთხს განყოფილებასაო. უშინსკის მოწმობით, შვეიცარიაში ერთი მასწავლებელი თურმე მშვენივრად უძღვება ექვსს განყოფილებასა. ჩვენის მოკამათის აზრით ერთის მასწავლებლისთვის საზოგადოების სკოლებში. იგი თხოულობს ყველა განყოფილებას ცალკე მასწავლებელი უნდა ჰყავდეს უთუოდ, რის გამოც შტატი სამწლიანის სასოფლო სკოლსა უნდა შესდგეს სამის მასწავლებლისგან და ჩვენმა ღარიბმა სოფელმა სამკეცი ჯამაგირი უნდა იხადოს. მღვდლის მასწავლებლად გამწესება ყველგან უხერხულად მიაჩნიათ-თვით სამრევლო სკოლები რუსეთში აბარია არა მღვდლებს, არამედ ცალკე მასწავლებლებს და მხოლოდ ზედამხედველობა ეკუთვნის მღვდელს. ბ-ნი როსტომაშვილი-კი მღვდელს სკოლის მასწავლებლად ამწესებს და ოც-და ათს გაკვეთილს ახვევს კისერზედა. ყველგან აქსიომად არის აღიარებული, რომ ბავშვმა ჯერ პირველდაწყებითი საზოგადო სწავლა უნდა შეიძინოს და მხოლოდ მერე შეუდგეს რაიმე სპეციალურ საქმესა, ჩვენის რეფორმატორის პროექტით-კი შვიდი -რვა წლის ბალებს პირველივე წლიდანვე უნდა უკითხონ ლექციები აგრონომიისა.

საკვირველნი არიან საქმენი შენნი, უფალო!

სამწუხაროდ, ამ მრუდე, უკუღმართს მიმართულებას ხალხის განათლების შესახებ ჩვენი რეფორმატორი ბ-ნი როსტომაშვილი მარტო ეხლა როდი იჩენს. იგი ამ გზას დიდი ხანია ადგია, მისი სისტემა სრული წლოვანი გახლავთ. ჯერ კიდევ მეოთხმოცე წლებში ამავე მიმართულების წერილებს გზავნიდა რუსულ ენაზედ „Тифлисский Вестник“-ში; მაგრამ რედაქციამ არც ერთს ამ წერილთაგანს დღის ნათელი არ აღირსა. თავისს სახელმძღვანელოებშიაც კი განახორციელა ეს მიმართულება. 1876წელს, როდესაც სახალხო სკოლებისთვის მთავრობის მიერ განწესებული იყო ხუთწლოვანი კურსი, რუსული ენა ისწავლებოდა, როგორც საგანი მხოლოდ მესამე წლიდან და მთელი სწავლა სწარმოებდა კურსის დაწყებამდე ბოლომდე მხოლოდ ქართულს ენაზედ, ბ-მა როსტომაშვილმას გამოსცა ქართულად პაწაწკინტელა არიტმეტიკა, სადაც ამოცანებს ათავებდა დედა-ენაზედ მხოლოდ ოცი რიცხვით და წინასიტყვაობაში თავს იმითი იმართლებდა, რომ ქართულს სახლობასა და სკოლებში არსად ოცზე ზევით არითმეტიკას ქართულად ასწავლიანო, რაც ხალხს სიცრუეს შეადგენდა საკუთარის სიმრუდის გასამართლებლად. აი მისი საკუთარი სიტყვები: “ეს წინადადებანი-ამოცანანი,--როგორც ხედავს მკითხველი, შედგენილია მხოლოდ ორ რიცხვამდის. ამის მიზეზი იყო ისა, რომ ამ ჟამად არც ერთს სასწავლებელში და მგონია არ ერთს ქართულს ოჯახში არ ასწავლიან ქართულს ენაზედ ანგარიშს ამაზედ ზევით“.

ამის შემდეგ მან გამოსცა „Русская речь и Первая книга чтения с азбукою для грузин“, რომელშიაც მხოლოდ აქა-იქ ჰქონდა რუსულს სიტყვებს ქვეშ მიწერილი ქართული სიტყვები და რომელიც მოკლებული იყო გაბმულს ტექსტს დედა-ენაზედ, რასაც ადგილი აქვს ყოველ პედაგოგიურად შედგენილს სახელმძღვანელოში რომელიმე უცხო ენისა. წინასიტყვაობაში, სხავთა შორის, ის აზრიც იყო გაყვანილი, რომ რუსული ენა და რუსული წერა-კითხვა ერთსა და იმავე დროს უნდა ისწავლებოდეს, რის განხორციელებაც ერთი ორად შეამოკლებდა ქართულის ენის გაკვეთილებს პირველ წელიწადში. იგივე წიგნი მან გამოსცა სხვა სახითაც, მარტო რუსულს ენაზედ, რითაც აშკარად გამოესარჩლა იმ აზრს, რომ რუსული ენის სწავლება უდედა-ენოდაც შეიძლება სწარმოებდესო. ხომ ხედავთ, რამდენი მანძილით გაუსწვრია დასავლეთის საქართველოს განმანათლებლისათვის, „მუნჯის მეთოდის“ ავტორისათვის. წინააღმდეგ ამ წინ-სირბილისა, მისი სახელმძღვანელოები უარ-ჰყოფილ იქმნენ სკოლისა და სახლობის მიერ და იგინი არამც თუ მეორე გამოცემას ვეღარ ეღიროსნენ, პირველი გამოცემაც ავტორს ხელში შერჩა გაუსყიდელი. ასეთი შედეგი მოსდევს სილატაკეს, სიმრუდეს და უხეირობას სახელმძღვანელოსას მაშინაც კი, როდესაც მისი ავტორი მისდევს რაიმე ანტიპედაგოგიურის მძლავრს ქარის მიმართულებასა.

სწორედ ამ გარემოებაში საკუთარის სახელმძღვანელოების მტკნარს უხეირობასა და უვარგისობაში უნდა ვეძიოთ საიდუმლო მიზეზი იმ უცნაურის და მავნებელის აზრისა, რომლის ძალითაც ბ-ნი როსტომაშვილი საზოგადოდ, პრინციპიალურად უარ-ჰყოფს სახელმძღვანელოებსა და მათ მაგიერ უნდა გაამეფოს პაწაწ-პაწაწა საკითხავი წიგნები. ეს შემთხვევა უნებლიეთ მოგაგონებთ კუდა მელიას ამბავს, რომელსაც თავისის უკუღმობისა სცხვენოდა, მოუყარა თავი ერთად ყველა კუდიან მელიებსა და უთხრა: კუდი გამოუსადეგარი, უხამსო და უშნო ნაწილია და გირჩევთ ჩემსავით თქვენც ყველამ დაიგლიჯოთო და ჩემსავით კობტა კუდუსუნი შეირჩინოთო. როგორც მოგეხსენებათ, პასუხად კუდამ მიიღო მხოლოდ საყოველთაო ხარხარი.

ამასთანავე უნდილი, უნელბელი და წინდაუხედავი არის ბ-ნის როსტომაშვილის აზრი შესახებ თვით სწავლისა (самообучения). ეს პრინციპი მოქმედებდა წინად, ვიდრე კაცობრიობა ერთი-ათად უფრო ძლიერს ღონისძიებას მოიგონებდა. ეს ღონისძიება გახლავთ სკოლა, სკოლები. თვით-სწავლაში ყოველი ადამიანი გამარტივებული მოქმედებს, თავისს პატარა ძალის ამარა არის და ბევრს ვერასა ხდება, რასაც კეთილგანწყობილის სკოლაში ერთ თვეს სწავლობს, იმდენს მთელს წელიწადს ვერ შეიძენს შინ. ამიტომაც სადაც სკოლები არ არსებობს იქ ხალხის განათლება ცუდს მდგომარეობაშია: უბრალო, უხეირო წერა-კითხვის მცოდნეც კი ძლიერ ნაკლებად მოიძებნება. შორს რომ არ წავიდეთ, შევადაროთ აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველო ამ მხრივ. პირველში ერთი-სამად და ოთხად ნაკლებია სკოლები და სწორედ ამის გამოც არის, რომ იქითა საქართველოში ერთი-სამად მეტი წიგნი იყიდება, ამიტომაც ყველა ცოცხალი ქვეყანა სკოლების გამრავლებაზედ ზრუნავს უპირველესად ყოვლისა. ჩვენთვის აქ უფრო საყურადღებოა მოქმედება იმ პატარა ხალხებისა, რომელნიც დიდის სახელმწიფოების ნაწილს შეადგენენ ამჟამად. ამათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ დედა-ენის ცოდნა, მასზედ წერა-კითხვისა და განათლების გავრცელება სკოლების გარეშე თითქმის შეუძლებელია და ამიტომ ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, თავებს იკლავენ იმისათვის, რათა მათ დედა-ენას ჯეროვანი ადგილი ეჭიროს სკოლების პროგრამაში. პოზნანის პოლონელებს მშვენივრად აქვთ გაწყობილი ოჯახი, იგი ბევრით ძლიერია ქართულს ოჯახზედა; მაგრამ როცა პრუსიის მმართველობამ განიზრახა მათის ენის გაუქმება სახალხო სკოლებში, მთელი საზოგადოება და ხალხი ყალყზედ დადგა. დასამშვიდებლად პრუსაკები ეუბნებოდნენ პოლონელებს: რას ჩივით და დრტვინავთ სკოლებზედ. ოჯახი ხომ თქვენს ხელშია, გააძლიერეთ თვით მოქმედება, თვით სწავლა და თქვენი მწიგნობრობა ააღორძინეთო. მაგრამ ამით ვერავინ მოატყუეს ყველამ კარგად იცოდა, რომ თუ სკოლიდგან პოლონური ენა განდევნილ იქმნებოდა, მათი მწიგნობრობა და ლიტერატურა სწრაფად წავიდოდა უკან-უკან და ხალხს მომავლის შავი ღრუბელი გადაეკვროდა. ამის გამო ყოველი ღონისძიება იხმარეს, დიდი მსხვერპლიც შესწირს, რათა აღედგინათ სკოლებში პოლონურის ენის უფლება. მით უმეტესად არის საჭირო სკოლა ჩვენის დედა-ენისათვის, რომელსაც ქართველი ოჯახი იმის მესამედ სამსახურსაც ვერ გაუწევს, რაც პოლონელს ოჯახს შეუძლია თავისის ენისათვის. ჩვენ ძლიერ მდიდარნი ვართ ვაჟბატონებით, რომელნიც ნატრობენ ქართულის ენის გაუქმებას ჯერ ფაქტიურად და მერე პრინციპიალურად. რათა საზოგადოება ამ აზრს შეაჩვიონ, იგინი თვალებს უბამენ თვითსწავლის ქება-დიდებათ. რა წაგიხდებათ სკოლებში ქართული დედა-ენის მოსპობითაო? არაფერიო, პირიქით კიდევაც მოიგებთ, რადგანაც ოჯახში გაამეფებთ ქართულს წიგნსა, თქვენ თვითონ ისწავლით მას და სკოლას კი მთლად დაუთმობთ სხავა ენასო. ამის თქმას ვერ გაბედავდნენ, თუ კარგად არ იცოდნენ, რომ ქართველი საზოგადოების თვალების აბმა, მოტყუება ძლიერ ადვილია. კი, სწორედ ამ ჩვენი თვალების ამბმელებს აძლევს ბანს ბ-ნი როსტომაშვილი, როდესაც თვით-სწავლას ისე აქებს და ხდის მას ძლიერ ღონისძიებად ახლის შუქის მოსაფენად ჩვენს ხალხში. მათვე დახმარებას უწევს, როდესაც სახელმძღვანელოებს უარ-ჰყოფს საზოგადოდ, სახელმძღვანელოებს რომელთაც დიდი სიკეთე დაუთესნიათ, სთესენ და შემდეგშიაც დასთესენ, თუ იგინი არიან შედგენილნი ცოდნით, ნიჭით და სიყვარულით. ამისთანა სახელმძღვანელოების დასაცავად ხალხს ევროპაში რევოლუციაც კი მოუხდენია, როგორც მაგალითად, შვეიცარიაში. განა სკოლებისა და სახელმძღვანელოების მეოხებით არ მოხდა ჩვენს ქვეყანაში ამ ოცის წლის განმავლობაში ის

ცვლილება, რომ წიგნი ბევრისთვის შეიქმნა საარსო მოთხოვნილებად და ჩვენი ლიტერატურა, მწიგნობრობა ფეხზედ დადგა? ამ ცვლილებაში ბ-ნი როსტომაშვილს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მისი თანამედროვე კი იყო. და ან თუ მიუღია, უკუღმართი, უქადაგნია ისეთი აზრები, რომელთა განხორციელებაც ამ წარმატებას წინ გადაეღობებოდა.

სამაგიეროდ, ახლა იგი გვპირდება მთელის ენციკლოპედიის გამოცემას ქართულს ენაზედა, ღმერთმა ჰქნას, რომ მესამედი მიანც განხორციელებინოს აღთქმულისა, მაგრამ განა აქაც არ გაგონდებათ იმ ხის ამბავი, რომელსაც ფესვებს უთხრიდნენ, უხმობდნენ, და ფოთლებს კი წყალს უშხაპუნებდნენ, ნაყოფს ბევრს მოგვისხამსო.

განა მჭერმეტყველნი, ხმა-მაღლა მღალადებელნი ფაქტები არიან, რომელთაც შეუძლიანთ ბრმათაც კი თვალეზი აუხილოს და თვით უკურნებელი ფანტაზიორიც კი გონზედ მოიყვანონ?

ცხადია, რომ ბ-ნს როსტომაშვილს ოცის წლის ოფიციალურის სამსახურის განმავლობაში ისე ღრმად გასჯდომია ძვალსა და რბილში ერთგვარი მიმართულება, რომ იგი ახლაც, როცა სამოც-და-ათ თუმნიანი პენსია ჯიბეში უძევს, ყურ-მოჭ-რილ ყმობას უწევს იმავე მიმართულებასა. დროა შეაფურთხოს მავნე სულს, განდევნოს იგი სრულიად, ახლად მოინათლოთლოს წაღმართ პედაგოგიის ემბაზში და გაწმენდილი შეუდგეს ხალხის განათლების სამსახურსა. თუ ამას მოახერხებს, ჩვენ პირველნი ხმამაღლა ვაღიარებთ მისს წაღმართობასა და უხვად ვუძღვნით მას ქება-დიდებასა, რაც შეეხება მას, თუ როგორი სახალხო სკოლაა ჩვენთვის სანატრელი და ამასთან შესაძლებელი და რაგვარად უნდა იქმნას იგი მოწყობილი, რათა გახდეს ხალხისათვის წყაროდ ცოდნისა, სინათლისა, დოვლათის შეძენისა, ზნეობის განწმენდისა, ამას ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ ვუძღვნათ ცალკე წერილები.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

სსიპ ქალაქ თელავის N5 საჯარო სკოლის მოსწავლემ, **თათია თათულაშვილმა**